Distanzdelikt

Als Distanzdelikt wird im deutschen Recht eine Straftat dann bezeichnet, wenn diese so begangen wird, dass die strafrechtlich relevante Handlung und der dadurch bewirkte Erfolg räumlich auseinanderfallen. Rechtliche Bedeutung erlangt das Auseinanderfallen von Handlungs- und Erfolgsort insbesondere dann, wenn damit eine Überschreitung von Staatsgrenzen verbunden ist, d.h. wenn die Handlung auf dem Gebiet des einen Staats erfolgt und der Erfolg auf dem Gebiet des anderen Staats eintritt (Beispiel Betrug: Täuschungshandlung erfolgt in Deutschland, Vermögensschaden tritt in Georgien ein). Im **deutschen Recht** ist das Ubiquitätsprinzip in § 9 Abs. 1 dStGB verankert, wonach eine Tat u.a. an dem Ort als begangen gilt, an dem die Handlung erfolgt (Var. 1) oder an dem der Erfolg eintritt (Var. 3). Handelt der Täter demnach in Deutschland und bewirkt dadurch einen Erfolgseintritt im Ausland, gilt die Tat nach deutschem Recht als Inlandstat im Sinn von § 3 dStGB. Die Anknüpfung der Anwendbarkeit des Strafrechts an den Ort der Handlung ist auch im **georgischen Recht** anerkannt. Nach Art. 4 Abs. 2 gStGB ist georgisches Strafrecht auf jede auf georgischem Territorium begonnene, fortgesetzte, abgebrochene oder vollendete Tat anzuwenden. Im georgischen Schrifttum wird für grenzüberschreitende Sachverhalte zudem betont, dass die Anwendbarkeit des jeweiligen Strafrechts nicht nur an den Handlungsort, sondern auch an den Erfolgsort anknüpfen kann. In beiden Rechtsordnungen ist der Begriff des Distanzdelikts anerkannt und es besteht in beiden Ländern bezüglich des Strafanwendungsrechts – sofern dem Distanzdelikt ein grenzüberschreitender Sachverhalt zugrunde liegt – eine vergleichbare Rechtslage, obwohl § 9 Abs. 1 dStGB umfassender formuliert ist als Art. 4 Abs. 2 gStGB. (Mpi/Msh)

დისტანციური დანაშაული

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, დანაშაული დისტანციურად ჩადენილად ითვლება, თუ ის ჩადენილია ისე, რომ სისხლისსამართლებრივი ქმედება და დამდგარი შედეგი სივრცით განსხვავებულია. განსხვავება დანაშაულის ქმედებისა და შედეგის დადგომის ადგილს შორის მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს კვეთს ერთი სახელმწიფოს საზღვარს, ანუ როდესაც მოქმედება ხდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და შედეგი დგება მეორე სახელმწიფოში (მაგალითად, თაღლითობა: მოტყუების დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი ჰქონდა გერმანიაში, ხოლო შედეგი, ქონებრივი ზიანი, დადგა საქართველოში). გერმანული კანონმდებოლობა, გსსკ-ის 9-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ყველგანარსებობის (Ubiquitätsprinzip) პრინციპზეა დაფუძნებული, რომლის თანახმადაც, ქმედება ჩადენილად ითვლება იმ ადგილას (სახელმწიფოში), სადაც დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა (1-ელი ვარიანტი) ან სადაც შედეგი დადგა (მე-3 ვარიანტი). შესაბამისად, თუ დამნაშავე მოქმედებს გერმანიაში და ამით დანაშაულებრივი ქმედების შედეგი დგება საზღვარგარეთ, გსსკ-ის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, ქმედება განიხილება, როგორც გერმანიის ტერიტორიაზე

ჩადენილად. სისხლის სამართლის დანაშაულის ადგილთან დაკავშირებული საკითხი აღიარებულია **ქართულ კანონმდებლობაშიც**. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის კანონი გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებულ, გაგრძელებულ, შეწყვეტილ და დასრულებულ ქმედებებზე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ საზღვრის გადამკვეთ, ტრანსსასაზღვრო ქმედებისთვის სისხლის სამართლის კანონი გამოიყენება როგორც ქმედების ადგილის, ასევე შედეგის დადგომის ადგილის მიხედვითაც. დისტანციური დანაშაულის ცნება აღიარებულია ორივე სამართლებრივ სისტემაში და ორივე ქვეყანაში სამართლებრივი რეგულირება მსგავსია, თუმცა გსსკ-ის მე-9 პარაგრაფის 1-ელი ნაწილი უფრო ამომწურავად არის ფორმულირებული, ვიდრე სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი. (Mpi/Msh)